ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3512651

ნომერი: AR1535588

თარიღი : 26.08.2017

გაცემის თარიღი : 04.09.2017

გაცნობის თარიღი : 04.09.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გლდანი , მიკრო/რაიონი II , ავეჯის სახლის მოპირდაპირედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ილია სუჯაშვილი პ/ნ 01019017859
- თბილისი II ძმობის ქ. N 8

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პანდუსის მოწყობა რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ შემდეგს: ვინაიდან არსებული საკადასტრო საზღვარი ზედ შენობის კონტურზეა გავლებული და ვერ დგინდება საპროექტო პანდუსი ეწყობა საკადასტრო საზღვრების ფარგლებში თუ მის გარეთ , იმისათვის რომ სამსახურმა შეძლოს თქვენი საკითხის ხელახლა განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება საჭიროა წარმოადგინოთ ესკიზური ნახაზები (ფრაგმენტული) გეგმა, ჭრილი, ფასადი დეტალური ზომებისა და საკადასტრო საზღვრის კონტურის ასახვით.
თქვენ მიერ წარმოდგენილი მინდობილობა არ არის მისაღები, რადგან არ გულისხმობს მოთხოვნილ სამუშაოებთან დაკავშირებით უფლებამოსილებას. წარმოადგინეთ განახლებული მინდობილობა.

ასევე გაითვალისწინეთ : დაცული უნდა იქნას "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკურირეგლამენტის დამტკიცების თაობაზე "საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვარის № 41 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები.შესასვლელებში მოწყობილი პანდუსის სიგანე უნდა იყოს არანაკლებ 1,0 მეტრისა. ეტლის მოტრიალებისა და ფეხით მოსიარულეთა დასვენების ბაქანი უნდა იყოს ჰორიზონტალური პანდუსის სიგანისა და სიგრძით: სწორხაზოვან პანდუსზე არანაკლებ 1,0 მეტრისა, ხოლო სპირალისებურ პანდუსზე - არანაკლებ 2,0 მეტრისა.
-.პანდუსის გრძივი მიმართულებით მოწყობილი შემაღლება უნდა იყოს სიგრძის 6% (განსაკუთრებულ შემთხვევაში სიგრძის 8%). საფეხურები უნდა იყოს ყრუ, სწორი და ხორკლიანი ზედაპირით ამასთან გამონაშვერების გარეშე. საფეხურების განივ კიდეებში უნდა მოეწყოს 0,01 მეტრის შემაღლებები. კიბის ორივე მხარეს მოწყობილი მოაჯირების სიმაღლე უნდა იყოს 0,9 მეტრი, ხოლო სიგრძე, მარშის სიგრძესთან შედარებით - 0,3 მეტრით მეტი ორივე მხარეს (იხ დანართი).
-ზემოაღნიოშნულის გათვალისწინებით წარმოსადგენი გექნებათ განახლებული ფოტომონტაჟი.

ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენის შემთხვევაში, სამსახური იმსჯელებს თქვენს მოთხოვნაზე/განსახორციელებელი სამუშაოების მიზანშეწონილობაზე და სამსახურის გადაწყვეტილება გეცნობებათ კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.

სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დატოვებული იქნება განუხილველი .
თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.